სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 115 (11421) | ხუთშაბათი, 21 მაისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ფართო გზა ტექნიკურ პროგრესს!

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი მხურვალედ უჭერს მხარს ელექტრომავალმშენებელთა ამ ძირითად ინიციატივას, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის ძვირფას ინიციატივას, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, ბათუმის თამბაქოს, თელავის აბრეშუმ-ძაფსახვევი ფაბრიკების კოლექტივებმა. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს დაუცხრომლად იბრძოლონ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, საწარმოებში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვისათვის, პროდუქციის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესებისათვის.

ნაკადური ხაზები

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი მხურვალედ უჭერს მხარს ელექტრომავალმშენებელთა ამ ძირითად ინიციატივას, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს.

ბარშან და წელს ქარხანაში ბევრი რამ გაკეთდა სახარატო ჩარხ „168“-ის ნაკადური მეთოდით წარმოების ასათვის. ახლა ქარხანა მთლიანად გადასულია ამ ჩარხის გამოშვებაზე. ჩარხ „168“-ის უპირატესობა ის არის, რომ მისი წარმადობა 40 პროცენტით მეტია უნივერსალურ ჩარხ „1 დ 63 ა“-თან შედარებით.

ამ უნიკალური ჩარხის სერიული წარმოებისათვის საწარმოში განხორციელდა მთელი რიგი გარდაქმნები, შეიქმნა 19 ტექნოლოგიური ხაზი, რომელთაგან 14 უკვე მუშაობს.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის წელს საწარმოს საამქროებში დაიდგა 14 ერთტონიანი, აგრეთვე რამდენიმე მოსაბრუნებელი და სატრანსპორტო ამწეები, რის შედეგად ჩარხების ცალეული დეტალების დაყენება, მოხსნა და სხვა სატრანსპორტო სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია.

ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წლის ბოლოსათვის დაამთავროს ხუთი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა ჩარხ „168“-ის ნაკადური მეთოდით წარმოებისათვის. ამასთან წელსვე დამთავრდება მექანიზაცია წინასწარი შეღებვის საამქროში, სადაც დაიდგმება კონვეიერები, ნაწილების შესაღები კამერები და სხვ. ამწყობ საამქროში გაიმართება სამი საკვანძო კონვეიერი და წრიული კონვეიერი ნიტროკამერით. ყველა ამ სამუშაოს დამთავრება ბელს შეუწყობს საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

მ. მ. დინარე შვიდწლედის მანძილზე თუჯის წარმოება ამეორკეკაციის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში 8 პროცენტით გაიზრდება.

აპრილში 90 ტონა მისცა ქვეყანას გეგმის გადამეტებით ბრიგადამ, რომელსაც მ. გორდაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის მებრძმედებმა მოიპოვეს საამქროს გარდამავალი დროშა.

მაისის პირველ ნახევარში № 2 ბრძმედის კოლექტივმა გეგმის ზევით გამოუშვა ასობით ტონა თუჯი. სურათზე: ამეორკეკაციის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის № 2 ბრძმედის მექურე ნოდარ ლეკიაშვილი.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

ვადაზე ადრე

ბათუმი. (საკ. კორ.). ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა მიმართვის პასუხად თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა წელს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეეტანა 300 ათასი მანეთი. ამ მიზნით მეთამბაქოეებმა ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმი დაწესეს ძირითად ნედლეულის ხარჯვაში.

მარტო კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებისათვის მებრძოლმა ი. ჯორბენაძის ბრიგადამ 3 თვეში 1.800 კილოგრამი ნედლეული დაზოგა, ხოლო მთლიანად ფაბრიკის კოლექტივმა თამბაქოს ყაირათიანი ხარჯვით 153 ათასი მანეთი დაუზოგა სამშობლოს.

მეთამბაქოეებმა ასევე წარმატება მოიპოვეს სამუნდშტუკე და საჰალზე ქაღალდის და ხე-ტყის მასალის ეკონომიისათვის ბრძოლაში და შვიდწლედის ფონდში გადარიცხეს 25 ათასი მანეთი. 18 ათასი მანეთი საწარმოს დაუზოგეს ფაბრიკის რაციონალიზატორებმა, 50 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მიღებულია ხელფასების შემცირების გზით.

ფაბრიკის კოლექტივმა 4 თვეში შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა ამაზე რამდენიმე ათასი მანეთით მეტი, რაც წლიური ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.

მზადება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასებისათვის

მთავრობის გადაწყვეტილებით 1960 წლის 1 იანვრისათვის არსებული ძირითადი ფონდების გადაფასება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთელი ძირითადი ფონდების ერთიანი სისტემის საფუძველზე მოხდება. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ფასების შემდგომ დაწევას, ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის ტექნიკური პროგრესის განვითარებას, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ბერკეტების უფრო ეფექტიანად გამოყენებას სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგში.

ძირითადი ფონდების გადაფასების ამოცანაა სრულად და ობიექტურად ასახოს ფასებში საზოგადოებრივი შრომის ხარჯები, ხელი შეუწყოს ეკონომიკის ყველა დარგის ეკონომიკურად მაღალი დონის მქონე საწარმოების ეფექტიან მუშაობას, ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ნაკლებად ეკონომიკური საწარმოების ტექნიკურ გადაიარაღებას.

ძირითადი ფონდების გადაფასების ამოცანების გადასაწყვეტად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს ბევრი ძვირფასი წინადადება შეაქვთ, აშკარავებენ ნაკლოვანებებს, ავლენენ რეზერვებს, პოულობენ ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სწრაფი დანერგვის გზებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები მოწოდებული არიან გულმოდგინედ მოეკიდონ თვითეულ წინადადებას, მაშინვე განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა შვიდწლედის სამსახურში ჩაეყენონ ყოველივე მნიშვნელოვანი, სწრაფად აღმოფხვრან გამოვლინებული ნაკლოვანებანი. წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვას რომ ვცდილობთ, გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ კონსერვატიზმისა და უძრაობის წინააღმდეგ, მუშაკთა ერთი ნაწილის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ იცხოვრონ ძველებურად, თავი არ შეიწუხონ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის ზრუნვით. ამაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა პრესამ.

სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითი აქტივობის მძლავრ აღმავლობას, უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ღრმად, საქმის ცოდნით, ხოლო რაც მთავარია, სისტემატურად იმუშაონ ტექნიკური პროგრესის საკითხებზე — ეს არის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

მზადება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასებისათვის

მთავრობის გადაწყვეტილებით 1960 წლის 1 იანვრისათვის არსებული ძირითადი ფონდების გადაფასება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთელი ძირითადი ფონდების ერთიანი სისტემის საფუძველზე მოხდება. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ფასების შემდგომ დაწევას, ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის ტექნიკური პროგრესის განვითარებას, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ბერკეტების უფრო ეფექტიანად გამოყენებას სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგში.

ძირითადი ფონდების გადაფასების ამოცანაა სრულად და ობიექტურად ასახოს ფასებში საზოგადოებრივი შრომის ხარჯები, ხელი შეუწყოს ეკონომიკის ყველა დარგის ეკონომიკურად მაღალი დონის მქონე საწარმოების ეფექტიან მუშაობას, ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ნაკლებად ეკონომიკური საწარმოების ტექნიკურ გადაიარაღებას.

ძირითადი ფონდების გადაფასების ამოცანების გადასაწყვეტად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს ბევრი ძვირფასი წინადადება შეაქვთ, აშკარავებენ ნაკლოვანებებს, ავლენენ რეზერვებს, პოულობენ ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სწრაფი დანერგვის გზებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები მოწოდებული არიან გულმოდგინედ მოეკიდონ თვითეულ წინადადებას, მაშინვე განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა შვიდწლედის სამსახურში ჩაეყენონ ყოველივე მნიშვნელოვანი, სწრაფად აღმოფხვრან გამოვლინებული ნაკლოვანებანი. წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვას რომ ვცდილობთ, გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ კონსერვატიზმისა და უძრაობის წინააღმდეგ, მუშაკთა ერთი ნაწილის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ იცხოვრონ ძველებურად, თავი არ შეიწუხონ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის ზრუნვით. ამაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა პრესამ.

სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითი აქტივობის მძლავრ აღმავლობას, უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ღრმად, საქმის ცოდნით, ხოლო რაც მთავარია, სისტემატურად იმუშაონ ტექნიკური პროგრესის საკითხებზე — ეს არის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობა

ჩვენი ქვეყნის პარტიული ორგანიზაციები, ყველა მშრომელი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას, რომ ივნისში მოწვეულ იქნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მრეწველობასა და მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის შესახებ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხზე.

საკითხებს, რომლებიც შეტანილ იქნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად, უდიდესი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ სწრაფი ტექნიკური პროგრესის, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ დანერგვის საფუძველზე შევძლებთ მივაღწიოთ კაპიტალისტთან შედარებით შრომის იმ მაღალ ნაყოფიერებას, რომელიც საჭიროა კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ XXI ყრილობამ რეზოლუციაში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო აღნიშნა: „...შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გადამწყვეტი პირობაა ახალი ტექნიკის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალიზაცია და კოოპერირება. ისახება ამოცანა შვიდწლედის განმავლობაში განხორციელდეს ძირმა ხელის შრომის ლიკვიდაცია მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის საფუძველზე“.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებს დიდად ახარებს და აღაფრთოვანებს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გეგანტური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა კომუნისტური მშენებლობის ამ დიდი ამოცანების განხორციელებაში, რომელებიც პარტიის ისტორიულმა XXI ყრილობამ დასახა. ცნობამ პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საკითხზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ მასების მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ეს მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, საბჭოთა ადამიანების მხურვალე მისწრაფებას წარმატებით შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა.

ხაშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობის შეგნების მაღალი ნიმუში გვიჩვენებს მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნა აღნიშნონ დიდი საწარმოო გამარჯვებებით. მოსკოვის საწარმოების —„სერპ ი მოლოტის“, ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ელექტრონათურის ქარხნების მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, ლენინგრადის ლითონის ქარხნის, ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის „ელექტროსილას“, „სვეტლანას“ და სხვა ქარხნების კოლექტივებმა იკისრეს ნახევარი წლის გეგმა შეასრულონ ვადამდე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღისათვის. უკრაინის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა პატრიოტული ინიციატივა მრეწველობის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებისა, რომელმაც გააჩაღეს ბრძოლა, რათა წელს გეგმის გადაჭარბებით ამოიღონ მილიონი ტონა რკინის მადანი, 400 ათასი ტონა კოქსვადი ქვანახშირი, აწარმოონ დაახლოებით 300 ათასი ტონა თუჯი, 460 ათასი ტონა ფოლადი, 442,6 ათასი ტონა ნაგლინი და სხვა პროდუქცია.

მოწინავე კოლექტივების პატრიოტულმა წამოწყებამ მხურვალე და ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. შეჯიბრებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის აქტიურად ჩაებნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, საქართველოს, ლატვიისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების ბევრი საწარმოს კოლექტივები. მოძრაობას წლის პირველი ნახევრის გეგმის „პრავდის“ 20 მაისის მოწინავე

ვადამდე შესრულებისათვის სულ უფრო მეტი გაქანება ეძლევა. ამასთან საგულისხმო ის არის, რომ ბევრი მოწინავე საწარმოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა იკისრეს და მტკიცედ ახორციელებენ საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს.

ამ დღეებში კიდევ უფრო იზრდება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მაორგანიზებელი და მამობილიზებელი როლი. ისინი მოწოდებული არიან განუმარტონ ფართო მასებს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, დარაზმონ საბჭოთა ადამიანები შვიდწლიანი გეგმის კონკრეტული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, წარმართონ საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობისა და ინჟინრების აქტივობა ახალი რეზერვების ასამოქმედებლად მრეწველობისა და მშენებლობის დარგებში დამატებითი განვითარებისათვის, კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატიზაციის დახანერგვად, შრომის ნაყოფიერების გასაღრმავებლად და პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.

პარტიული ორგანიზაციები ემზადებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის და ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად. ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციებში, მაგალითად, იმართება კომუნისტთა კრებები, რომლებზეც განაზოგადებენ შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის მუშაობის გამოცდილებას, აშკარავებენ ნაკლოვანებებს და სახავენ მათი აღმოფხვრის გზებს. ბაქოს ბევრ საწარმოში და მშენებლობებზე კომუნისტების ინიციატივით აქტიურად პოულობენ რეზერვებს წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის გაფართოებისათვის. სტალინოს ოლქის მეტალურგიულ საწარმოებსა და შახტებში ეწყობა იმის ფართო შემოწმება, თუ როგორ სრულდება ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია მიწდნარე წლისათვის საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, სამრეწველო და სამშენებლო მოწყობილობის მოდერნიზაციის დარგში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, გააძლიერეს უყურადღება სახალხო მეურნეობის საბჭოების საქმიანობისადმი, უფრო ღრმად სწვდებიან საწარმოთა მუშაობას, წარმოების ეკონომიკასა და ტექნიკას. მოწინავე საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ ნახევარი წლის გეგმა, გვიჩვენებენ, რომ ჩვენს მრეწველობაში არის უდიდესი შინაარსი და შესაძლებლობანი, რათა განუხრელად გადიდდეს პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი და შემცირდეს თვითღირებულება.

საჭიროა უყოველმხრივ განვაზოგადოთ სკკპ XXI ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელების გამოცდილება, რომელიც ეხება ახალი ტექნიკის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების ფართოდ დანერგვას, საჭიროა გამოვაშკარაოთ ამ საქმის ნაკლოვანებანი, ავამოქმედოთ ახალი რეზერვები, რათა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ ჩვენი მრეწველობის მუშაობა.

ამჟამად, როცა ასე სწრაფად და ფართოდ ვითარდება მასების შრომითი აქტივობა, შემოქმედებითი ინიციატივა, განსაკუთრებით საჭიროა დროზე შევნიშნოთ და მხარი დავუჭიროთ წარმოების ნოვატორებს, რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, დავრაზმოთ ისინი თვითეულ საწარმოში, თვითეულ მშენებლობაზე წარმოების გაუმჯობესების კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს ბევრი ძვირფასი წინადადება შეაქვთ, აშკარავებენ ნაკლოვანებებს, ავლენენ რეზერვებს, პოულობენ ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სწრაფი დანერგვის გზებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები მოწოდებული არიან გულმოდგინედ მოეკიდონ თვითეულ წინადადებას, მაშინვე განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა შვიდწლედის სამსახურში ჩაეყენონ ყოველივე მნიშვნელოვანი, სწრაფად აღმოფხვრან გამოვლინებული ნაკლოვანებანი. წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვას რომ ვცდილობთ, გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ კონსერვატიზმისა და უძრაობის წინააღმდეგ, მუშაკთა ერთი ნაწილის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ იცხოვრონ ძველებურად, თავი არ შეიწუხონ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის ზრუნვით. ამაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა პრესამ.

სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითი აქტივობის მძლავრ აღმავლობას, უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ღრმად, საქმის ცოდნით, ხოლო რაც მთავარია, სისტემატურად იმუშაონ ტექნიკური პროგრესის საკითხებზე — ეს არის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

მზადება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასებისათვის

მთავრობის გადაწყვეტილებით 1960 წლის 1 იანვრისათვის არსებული ძირითადი ფონდების გადაფასება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთელი ძირითადი ფონდების ერთიანი სისტემის საფუძველზე მოხდება. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ფასების შემდგომ დაწევას, ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის ტექნიკური პროგრესის განვითარებას, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ბერკეტების უფრო ეფექტიანად გამოყენებას სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგში.

ძირითადი ფონდების გადაფასების ამოცანაა სრულად და ობიექტურად ასახოს ფასებში საზოგადოებრივი შრომის ხარჯები, ხელი შეუწყოს ეკონომიკის ყველა დარგის ეკონომიკურად მაღალი დონის მქონე საწარმოების ეფექტიან მუშაობას, ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ნაკლებად ეკონომიკური საწარმოების ტექნიკურ გადაიარაღებას.

ძირითადი ფონდების გადაფასების ამოცანების გადასაწყვეტად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს ბევრი ძვირფასი წინადადება შეაქვთ, აშკარავებენ ნაკლოვანებებს, ავლენენ რეზერვებს, პოულობენ ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სწრაფი დანერგვის გზებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები მოწოდებული არიან გულმოდგინედ მოეკიდონ თვითეულ წინადადებას, მაშინვე განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა შვიდწლედის სამსახურში ჩაეყენონ ყოველივე მნიშვნელოვანი, სწრაფად აღმოფხვრან გამოვლინებული ნაკლოვანებანი. წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვას რომ ვცდილობთ, გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ კონსერვატიზმისა და უძრაობის წინააღმდეგ, მუშაკთა ერთი ნაწილის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ იცხოვრონ ძველებურად, თავი არ შეიწუხონ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის ზრუნვით. ამაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა პრესამ.

სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითი აქტივობის მძლავრ აღმავლობას, უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ღრმად, საქმის ცოდნით, ხოლო რაც მთავარია, სისტემატურად იმუშაონ ტექნიკური პროგრესის საკითხებზე — ეს არის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ამერიკელთა ჯგუფი ფლორიდის შტატიდან

19 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ამერიკელთა ჯგუფი ფლორიდის შტატიდან, რომლებიც მოგზაურობენ საბჭოთა კავშირში როგორც ტურისტები. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საქმიანი წრეების წარმომადგენელნი, ადვოკატები, ექიმები. გაიმართა საუბარი, რომლის მსვლელობაში ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა მთელ რიგ კითხვებზე. ამერიკელმა ტურისტებმა ილაპარაკეს, რომ მათზე დიდ შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ქვეყანაში ჩამოსვლამ და მეგობრულად განწყობილ, მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრებმა. საუბარმა გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

მიღებას დაესწრნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი და „ინტურისტის“ გამგეობის თავმჯდომარე ვ. მ. ანკუდინოვი.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი მოსკოვში

საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ჩამოსულმა ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მისმა უმაღლესობამ სარდარმა მუჰამედ დაუდმა 19 მაისს კრემლში ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. პრემიერ-მინისტრს ახლდა ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში ბატონ ჰაქიმ შაჰალამი.

ამავე დღეს ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა კრემლში ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. ი. კოზლოვს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 19 მაისს კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა მისი უმაღლესობის სარდარ მუჰამედ დაუდის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

„აგიტატორის ბიბლიოთეკა“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ დაიწყო „აგიტატორის ბიბლიოთეკის“ გამოშვება, რომელიც შედგება 21 ბროშურისაგან: აქედან თორმეტი ეძღვნება სააგიტაციო მუშაობის გამოცდილებას და 9 — ზოგადპოლიტიკურ საკითხებს.

„ბიბლიოთეკა“ გამოვა წლის განმავლობაში. მას გაავრცელებს „სოიუზპეჩატი“ ხელმოწერითა და ცალობით. ხელმოწერნი პირველ ბროშურებს მიიღებენ მიმდინარე წლის ივნისში.

ხელმოწერას აწარმოებენ „სოიუზპეჩატის“, კავშირგაბმულობის განყოფილებანი, ფოსტის განყოფილებანი და კანტორები, ფოსტალიონები, საზოგადოებრივი რწმუნებულები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში და სხვ.

ზუგდიდელებმა მიიღეს მახარაძელთა გამოწვევა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). — საქართველოს მეჩაიეებმა,—განაცხადა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ქვარცხავამ, — შვიდწლედის პირველ წელს გაახარეს ლაშქრობა 140.000 ტონა ხარისხოვანი ჩაისათვის. მათ ამ ვალდებულების შესრულება თავიანთ ღვიძლ საქმედ გაიხადეს. ამიტომ არის, რომ სულ უფრო ძლიერდება მეჩაიეთა ინიციატივა და შემოქმედებითი შრომა.

ამის მკაფიო დადასტურებაა მახარაძის რაიონის მეჩაიეთა პატრიოტული მიმართვა საქართველოს მეჩაიეებისადმი. ამ მიმართვამ კვლავ გაახარა ზუგდიდელი მეჩაიეები, რომლებიც ტრადიციულ შეჯიბრებას აგრძელებენ მახარაძელ თანამოსაქმეებთან.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გულდასმით ეცნობიან მახარაძელთა მიმართვას და უფრო გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

ზუგდიდელებმა გადაწყვიტეს: **წელს ქვეყანას მისცენ 17.870 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ანუ გეგმის გადამეტებით 900 ტონა.**

სოფელ რუხის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარეა ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა, პირობა დადო მოკრიფოს 1.600 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც გეგმას 130 ტონით აღემატება. სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობამ იკისრა 660 ტონა ჩაის ნედლეულის მიღება. ეს კი გეგმაზე 80 ტონით მეტია. სოფელ კახათის კოლმეურნეობა წელს მოკრეფს 730 ტონას ანუ გეგმაზე 100 ტონით მეტს.

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მოკრიფოს 2.300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმას 100 ტონით აღემატება. მახარაძელთა მიმართვის საპასუხოდ გადიდებული ვალდებულებები აიღეს ინგირის, ჭკადუამის, ახალსოფლის, ცაიშის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. გელენავა პირობას იძლევა 14 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 10 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

იცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

ჩხოროწყუ

თათუშა გოგუამ ახალ წარმატებას მიაღწია სოფელ ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და დღიური დავალება 250 პროცენტით შეასრულა.

ლოლა ბერია ამავე კოლმეურნეობაში მუშაობს. გუშინ მან 76 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა.

ლანჩხუთი

ციალა ხუხუნაიშვილმა სოფელ ლაშისელეს ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 56 კილოგრამი ჩაი და ამით ფოთლის კრეფის დღიური ნორმა ორმაგად შეასრულა.

ვენერა კუკულაძეს ამავე კოლმეურნეობაში გეგმით უნდა მოეკრიფა 25 კილოგრამი ფოთოლი, ფაქტიურად მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ფოთოლს უკვე ელგვარ ამინდში კრეფენ

გალი. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში გარიყრაყიდან გვიან საღამომდე არ წყდება მუშაობა. კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შვიდწლედის პირველ წელს მოკრიფონ და მრეწველობას გადასამუშავებლად მისცენ 800 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული. 20 მაისისათვის უკვე მოკრიფეს 81 ტონა პირველი ხარისხის ფოთოლი.

სურათზე: ჩაის ფოთლის კრეფა წყალტუბოს რაიონის სოფელ რიონის კოლმეურნეობაში. მარჯვნივ

კომუნიზმის მშენებლობის თეორიული პრობლემები

შვიდწლიანი გეგმის საერთაშორისო მნიშვნელობა

განხორციელებით საბჭოთა ხალხი შეასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას სხვა ქვეყნების მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წინაშე.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა. ამჟამად ჩვენი ქვეყანა შეიდა თავისი განვითარების ახალ ისტორიულ პერიოდში, როცა ხდება სოციალიზმის გადაზრდა კომუნიზმში.

შვიდწლიანმა გეგმამ სოციალიზმის მეგობრების დიდი აიხარული და აღტაცება გამოიწვია. ისინი ყველანი აღიარებენ, რომ სსრ კავშირის ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკისა და კულტურის მძლავრ აღმავლობასა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, უმაგალითოა თავისი გრანდიოზული მასშტაბით. იგი ახალ პერსპექტივებს სხნავს სოციალიზმის იდეების კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებისათვის, განამტკიცებს საერთაშორისო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობას.

1.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა უდიდესი ენთუზიაზმით დაიწყეს შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელება, მრავალმა საწარმო-დაწესებულებამ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ გადიდებული ვალდებულებანი იკისრა. ისინი პირობას აძლევენ მშობლიურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ გადაზე ადრე წარმატებით შეასრულებენ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის გეგმებს. ეს მასწრაფება და ენთუსიაზმი მით უფრო მტკიცეა და უსაზღვრო, რამდენადაც ჩვენს ხალხს ღრმად სწამს, რომ წარმატებანი გეგმის შესრულებისა სოციალიზმის მხარეზე მოიზიდავენ მრავალ მილიონობით მომხრეს, გამოიწვევენ მშვიდობის შემდგომ განმტკიცებას, ომის ძალების დასუსტებას.

თანამედროვე ეტაპზე ხალხთა ურთიერთობაში ძირეულ საკითხს წარმოადგენს მშვიდობის შენარჩუნება, ახალი ომის თავიდან აცილება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე მსოფლიოში განუყოფლად ბატონობდა კაპიტალიზმის სისტემა. რამდენიმე უძლიერეს იმპერიალისტურ სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული ერების უმრავლესობის ბედი, ყველა სახელმწიფო ისწრაფოდა მოეპოვებინა ნედლეულის წყაროები და ბაზრები, განუწყვეტლივ გაეფართოებინა თავისი ეკონომიური პოზიციები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოთა და ხალხთა ურთიერთობამ სერიოზულად იცვალა სახე, ახალდაბადებული საბჭოების ქვეყნის მთავრობამ დაიწყო მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის განხორციელება, რომელიც პირველად ლენინმა წამოაყენა და თეორიულად დაამუშავა ჯერ კიდევ 1915 წელს, როდესაც ჩამოაყალიბა თეორია სოციალისტური რევოლუციის ერთ, ცალკე აღებულ ან რამდენიმე ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. გ. ი. ლენინმა იქვე მოგვცა ორი სოციალური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის ძირითადი მონახაზები. ლენინი ითვალისწინებდა, რომ სოციალისტური წყობილების გამარჯვება მოხდება თანდათანობით; ის ქვეყნები, სადაც სოციალიზმმა გაიმარჯვა, იარსებენენ კაპიტალისტური ქვეყნების გვერდით. ამიტომ საჭიროა მათ შორის ეკონომიური თანამშრომლობა და შეჯიბრება, ვაჭრობა და კულტურული ურთიერთობა.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეებისათვის უცხო და მიუღებელი იყო მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი. იმპერიალისტებმა, რომლებმაც უარყვეს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო წინადადებანი, მოაწყეს შეიარაღებული თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე. საბჭოთა ხალხმა სოციალისტური სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის შეუპოვარი ბრძოლით შექმნა თავისთვის ისეთი პირობები, როდესაც შეიძლო ეარსებნა კაპიტალისტური სახელმწიფოების გვერდით.

სსრ კავშირი დიდ ყურადღებას უთმობს ვაჭრობის გზით თავისი ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას სხვა ქვეყნებთან. თუ 1946 წელს საგარეო ურთიერთობა გვქონდა 40 ქვეყანასთან, ამჟამად საგარეო ვაჭრობა ხორციელდება 70-ზე მეტ ქვეყანასთან. 7-წლიანი გეგმით საგარეო ვაჭრობის ბრუნვა სოციალისტურ ქვეყნებთან 1958 წელთან შედარებით გაიზრდება ერთნახევარჯერ და მეტად. მნიშვნელოვნად ფართოვდება ეკონომიური ურთიერთობა სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან, რომლებთანაც სავაჭრო ბრუნვა 1957 წელს 5-ჯერ გადიდდა 1953 წელთან შედარებით.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა კავშირის ძლიერება და ავტორიტეტი. მსოფლიოში ღრმა ცვლილებები მოხდა. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა; წარმოიშვა ხალხთა უძლიერესი მოძრაობა მშვიდობის დაცვისათვის, არნახული ძალით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ამჟამად მსოფლიოში არიან ისეთი ძალები, რომლებსაც უნარი შესწევთ დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობა. ხალხთა მეხსიერებაში და მისწრაფებაში სულ უფრო ღრმად იდგამს ფესვებს ომების დაუშვებლობის იდეა. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ახალი და ახალი მიღწევები იწვევენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების ზრდა-განმტკიცებას. ამ პირობებში მშვიდობისმოყვარე ხალხებს შეუძლიათ აიძულონ იმპერიალისტური მთავრობები უარი თქვან სისხლისმღვრელი და გამანადგურებელი ომების მომზადების გეგმებზე, მოლაპარაკების გზით გადაჭრან ყველა სადავო საკითხი

სკკ პარტიის XXI ყრილობამ აღნიშნა, რომ მთელ დედამიწაზე სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე მსოფლიოს ერთ ნაწილში კაპიტალიზმის არსებობის პირობებში წარმოიშვა რეალური შესაძლებლობა გამოირიცხოს მსოფლიო ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან.

2.

მსოფლიოს მოვლენების განვითარება სულ უფრო ხასიათდება საზოგადოების ორი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ეკონომიური შეჯიბრებით.

ლენინის მეცნიერული წინასწარგანჭვრეტა, რომ მთავარ ზემოქმედებას მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე საბჭოთა კავშირი მოახდენს თავისი სამეურნეო მშენებლობით, სავსებით გამართლდა. ეკონომიურ დარგში ბრძოლა გადატანილია მსოფლიო მასშტაბით. ლენინი იქვე აღნიშნავდა, რომ ჩვენ გადავჭრით ამ ამოცანას და საერთაშორისო მასშტაბით აუცილებლად და საბოლოოდ მოვიგებთ.

საბჭოთა ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში იყო, როდესაც ლენინმა ზემოაღნიშნული აზრი გამოთქვა. რუსეთი არნახულად ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყანა იყო, რომლის საწარმოები 4-ჯერ უფრო ცუდად იყო აღჭურვილი, ვიდრე ინგლისისა, 5-ჯერ უფრო ცუდად, ვიდრე გერმანიისა, ათჯერ უფრო ცუდად, ვიდრე ამერიკისა.

1920 წელს საბჭოთა რუსეთი იმ პროდუქციის მხოლოდ ერთ მეხუთედს აწარმოებდა, რაც 1913 წელს იქნა წარმოებული. ეს იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები უკვე მსოფლიო კრედიტორი იყო და თავისი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1913 წლის დონესთან შედარებით 1,5-ჯერ გაადიდა.

ასეთი იყო გამოსავალი ზღვიდ, როდესაც დაიწყო ეკონომიური შეჯიბრება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. 1920 წლის დეკემბერს მარქსისტულ-ლენინური ახალი თეორიული დასკვნა მომდინარეობდა მტკიცე რწმენის უნერგავს თვითეული ქვეყნის ხალხებს.

ამრიგად, შვიდწლიანი გეგმის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია — ყურადღება გაეთიდეს მშვიდობის შესანარჩუნებლად, სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველსაყოფად.

3.

შვიდწლიანი გეგმის შესრულება კიდევ უფრო განამტკიცებს, გააფართოებს და განავითარებს მსოფლიო სოციალისტურ სისტემას, საბჭოთა კავშირის ეკონომიურ თანამშრომლობას ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან.

კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში შეუძლებელია ყველა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება, სავსებით გამორიცხულია მათი ურთიერთ შეთანხმებული წინსვლა. ამიტომ ერთი მეტად დაწინაურებულია, ხოლო სხვები, კაპიტალისტური ქვეყნების დიდი უმრავლესობა უარესად ჩამორჩენილი არიან როგორც ეკონომიურად, ისე კულტურის მხრივ. კარგად ცნობილია კაპიტალიზმის ტენდენცია — დაიპყროს, დაიმორჩილოს, კონკურენცია გაუწიოს. ამოქაჩოს მილიონები, დაამარცხოს მოწინააღმდეგენი და თავისუფლად ძარცვოს მშრომელი მოსახლეობა.

სოციალისტური სისტემის ქვეყნების ურთიერთ თანამშრომლობა ძმური და მეგობრულია, ისინი უანგარიშოდ ეხმარებიან ერთმანეთს, ხელს უწყობენ ეკონომიურ განვითარებას. საბჭოთა კავშირი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაეხმაროს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს თავიანთი მძლავრი ინდუსტრიის და სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნაში.

სსრ კავშირის ხვედრითი წონა მსრფლიო სამრეწველო წარმოებაში ნაცვლად 1917 წლის 3 პროცენტისა 1958 წელს შეადგენდა 20 პროცენტს. ასევე სწრაფად გაადიდეს თავიანთი წარმოება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა. თუ ომამდე სოციალიზმის ქვეყნებზე მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის მხოლოდ 10 პროცენტი მოდიოდა, 1958 წელს მან ერთ მესამედს მიაღწია. ეკონომისტების გამოანგარიშებით 1965 წელს სოციალისტური სისტემის ქვეყნები მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტს გამოუშვებენ. მოკლე ვადაში უზრუნველყოფილი იქნება ამ ქვეყნების აბსოლუტური უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ყველა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ტემპების განუხრელი ზრდა **გამოიწვევს იმ სისტემის ქვეყნების სწრაფ განვითარებას და უზრუნველყოფს მათს გადასვლას კომუნიზმის პირველი ფაზიდან მის უმაღლეს ფაზაზე.**

სოციალისტური ქვეყნების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის სწრაფი განვითარება მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ მათ შორის არსებობს ნამდვილი ძმობა და ყოველმხრივი უანგარო თანამშრომლობა. მრავალმხრივმა მატერიალურმა ურთიერთ დახმარებამ, მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების ურთიერთგაზიარებამ ხელი შეუწყო სოციალისტური სისტემის მშრომელი მასების ცხოვრების დონის საერთო მძლავრ აღმავლობას. 7-წლიანი გეგმით გათვალისწინებულია ქვეყნების შემდგომი დაახლოება ეკონომიური განვითარების დონით, ეკონომიური ურთიერთობის სრულყოფა.

4.

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის წარმატებით გადაჭრა დიდი მორალური მხარდაჭერა იქნება საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებით საბჭოთა ხალხი შეასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას სხვა ქვეყნების მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წინაშე.

იმპერიალისტები მუდამ ცდილობენ მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართონ ისეთი საშუალებები, რომლებიც გათიშავენ მუშათა ერთიანობას, დაიჭერენ გუნებაში და მოწმლავენ მათს შეგნებას. ამ მიზნით იმპერიალიზმის დაქირავებული პროპაგანდისტები და ყველა ჯურის ფალსიფიკატორები ხოტბას ასხამენ იმპერიალიზმს, ამაყი დროს ჭეროსნულ ღაშქრობას აწყობენ კომუნიზმის წინააღმდეგ.

მიუხედავად რეაქციის სიმძაფრისა, ამჟამად არ არის მსოფლიოში ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს წინააღუდგეს კომუნისტურ იდეებს, კომუნისტურ მოძრაობას. კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც 83 ქვეყანაში არიან, თავიანთ რიგებში 33 მილიონზე მეტ ადამიანს ერთიანებენ.

მარქსიზმ-ლენინიზმის ზეიმს, რომელიც გამოიხატება სოციალიზმისა და კომუნიზმის შემდგომი მშენებლობის კიდევ უფრო გრანდიოზული გეგმებით, შიში და დაბნეულობა შეიქმნა იმპერიალიზმის ბანაკში. ბურჟუაზია ახდენს თავის იდეოლოგიურ საშუალებათა მობილიზაციას, რათა დაამახინჯოს პროლეტარიატის რევოლუციური მოძღვრება. ამ მიზნით ისინი იყენებენ რევიზიონისტებსა და რეფორმისტებს, რომელთა დახმარებით სურთ სოციალური პროგრესის გზას აცილონ მშრომელი მასები და ამით გააადვილონ იდეური და პოლიტიკური ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის მიღწევებმა ომისშემდგომ პერიოდში ძირი გამოუთხარა სოციალიზმისად მტრული პროპაგანდას, ხოლო შვიდწლიანი გეგმის განხორციელება საბოლოო სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს რევიზიონისტთა და რეფორმისტთა თეორიულ დოგმებს.

შვიდწლიანი გეგმის შესრულების საფუძველზე სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი 1940 წლის დონესთან შედარებით 6-ჯერ გაიზრდება, მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი გადიდდება 40 პროცენტით. მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდის პირობებში ჩვენში იქნება მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე.

ადარებენ რა თავიანთ ცხოვრებას საბჭოთა კავშირის ხალხთა მდგომარეობას, კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით მშრომელნი სულ უფრო ღრმად რწმუნდებიან, რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია უზრუნველყოს ცხოვრების მაღალი დონე, როცა არ იქნება კრიზისები, სოციალური და პოლიტიკური დამოწნება, სამუშაოს დაკარგვის შიში.

ამრიგად, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, ზრუნვა ადამიანთა კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების მთელი სისტემის, საზოგადოების სულიერი და ფიზიკური ძალების და უნარის ყოველმხრივ განვითარებისათვის წარმოადგენს შვიდწლიანი გეგმის საერთაშორისო ასპექტის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.

5.

საბჭოთა კავშირის 7-წლიანი გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელება უდიდეს როლს შეასრულებს მსოფლიოს ხალხთა შორის ნორმალური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ამხრცელებს საგარეო პოლიტიკის ლენინურ ხაზს, რომლის მიზანია მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების შენარჩუნება და განმტკიცება სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი კვლავ განაგრძობს ღონისძიებებს იმისათვის, რომ შეწყდეს „ცივი ომი“, შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, განიტკიცდეს მსოფლიო სოციალისტური სისტემა და მომძე ხალხთა თანამეგობრობა.

სკკპ XXI ყრილობის მიერ წამოყენებულ საგარეო-პოლიტიკურ პროგრამას იწონებენ და მხარს უჭერენ არა მარტო სოციალისტური ქვეყნები, არამედ ევროპის, აზიისა და აფრიკის მთელი რიგი სახელმწიფოები, რომლებიც აგრესიულ ბლოკებში არ შედიან. ჩვენს საგარეო პოლიტიკას მხარს უჭერს მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობა.

საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად სოციალიზმის ქვეყნები გამოდიან მთელი მსოფლიოს წინაშე კონკრეტული წინადადებებით. მშვიდობიანად გადაიჭრას გერმანიის გაერთიანების საკითხი, სამუდამოდ აიკრძალოს წყალბადის და ატომური იარაღის გამოცდა, რასაც მოჰყვებოდა მისი მთლიანად აკრძალვა, საყოველთაო განიარაღება, სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროპაში უატომო ზონის შექმნას, შეიარაღებული ნაწილების ურთიერთ დაცილებას, წყნარი ოკეანის აუზში მშვიდობის ზონის შექმნას და სხვ.

საბჭოთა ხალხი მუდამ მზად არის ყოველი სამუალებით შეუწყოს ხელი ამ წინადადებათა და ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც მიმართულია ყაცობრიობის საერთო პროგრესისა და მსოფლიოში საერთო მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანმა გეგმამ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა საყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვა. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ქვეყნების გეგმებში ხედავს ისტორიული განვითარების პროგრესულ მიმართულებას, მშვიდობის შენარჩუნების ბრწყინვალე პერსპექტივებს, რაც სავსებით შეესაბამება შრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესებს.

ა. კობაიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მეგობართა ხმა

„სრული რწმენით შეიძლება ითქვას, — წერს — „ყენმინყობაო“, — რომ შვიდწლიანი გეგმა განამტკიცებს არა მარტო საბჭოთა კავშირის ძალებს, არამედ სოციალიზმის მთელი ბანაკის, დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის ძალებსაც. ამიტომ ამ დიდი პროგრამის განხორციელებას იწვევს საბჭოთა კავშირის მეგობრების სიხარულის გრძნობას და მისი მბრძოლის დაბნეულობის გრძნობას“.

მათი აღიარება

ავსტრიის გაზეთი „ფოლკსშტიმე“ შვიდწლიან გეგმას უწოდებს „ისტორიულ დოკუმენტს“, რომელიც „სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის მშვიდობიან შეჯიბრებაში გადამწყვეტი ბრძოლის სტრატეგიულ გეგმას, მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის გამარჯვების გეგმას წარმოადგენს“.

„რუსეთი, რომელიც მხოლოდ 40 წლის წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, — წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — სწრაფი ეკონომიური განვითარების ბრწყინვალე მაგალითი იქნება... ეს დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს იმ ხალხებზე, რომელნიც ნაადვილ გამოსავალს ვერ ხედავენ თავისუფალი ეკონომიკის პირობებში“.

გაზაფხულის ერთი დღისა წელიწადს კვებავს

ქართველი მექანიზატორები მუშაობენ ა. გიტალოვის მეთოდით

გურჯაანი. (საკ. კორ.). ბაკურციხელები ძალასა და ღონეს არ ზოგავენ იმისათვის, რომ შვიდწლედის პირველი წლის შემოდგომაზე ბარაქა დაახვავონ.

დიდ მზრუნველობას იჩენენ „მინდვრის დედოფლის“ — სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის. სიმინდი გეგმის გადამეტებით 40 ჰექტარზე დათესეს. ამჟამად გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს კულტივაცია. ამ საშუშაოს ორმაგად ასრულებს ტრაქტორისტი გ. ბაწაშვილი.

* * *

სურათზე: ბაკურციხის კოლმეურნეობის, ტრაქტორისტი გ. ბაწაშვილი სიმინდის კულტივაციის დროს.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

— შარშან, — თქვა მან, — თვითეული ჰექტარი ნათესიდან მარცვლად 31 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ, გეგმა კი 22 ცენტნერს ითვალისწინებდა. წელს 40 ცენტნერის მიღება ვიკისრეთ. ვეცდებით პირობას გადავაჭარბოთ.

თელავ-ყვარლის გზატკეცილის მარცხნივ შალაურის კოლმეურნეობის კუთვნილი 70 ჰექტარი ფართობის ნაკვეთია. ხშირად ხდება, რომ გზად მიმავალნი ჩერდებიან და სიმინდის მწვანე ყვავრატების აქერით ტკბებიან. თვითეულ ბუდნაში ორი ძირი სიმინდია აღმოცენებული. ეს სათესი აგრეგატის ზუსტად მუშაობის შედეგია. შალაურელები ამაყობენ იმით, რომ მათ თესლავს რაიონში ყველაზე უკეთესად დანერგეს სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა. აგრონომმა სიმონ ლობჯანიძემ ამ საქმეში მიღებული გამოცდილება ბევრს გაუზიარა.

მწვანე კვადრატების კულტივაციაზე სამი აგრეგატი მუშაობს. ტრაქტორისტმა შ. წიგნაძემ მზესუმზირას პირველი დამუშავება დაამთავრა, ახლა კი სიმინდისათვის ზრუნავს. ჯვარედინი კულტივაციის ყოველდღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებს. არც ნ. შავაძისა და ა. ერგემლიძის აგრეგატები მუშაობენ ცუდად.

შალაურელებს გადაწყვეტილი აქვთ შვიდწლედის პირველსავე წელს ჰექტარზე მიიღონ სულ ცოტა 45 ცენტნერი სიმინდი მარცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ცენტნერის ნაცვლად.

სოფელი გულდასმით თესლავის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. აქაური კოლმეურნეთათვის ჩამორჩენა უცნობა. ყველა სამუშაოს დროულად ასრულებენ.

კარგია, რომ ყველგან ასე იყოს საქმე. მაგრამ სამწუხაროდ, ასე როდია. ზოგან სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ. ავიღოთ თუნდაც ლალისყურის კოლმეურნეობა. აქ ნიადაგი მაღალნაყოფიერია, წყალიც უხვად არის, მაგრამ იმის გამო, რომ ნათესებს სათანადოდ არ ამუშავებენ, მეზობელ კოლმეურნეობებთან შედარებით გაცილებით ნაკლებ მოსავალს იღებენ. წელს კვადრატულ-ბუდობრივად არც ერთი ჰექტარი არ დაუთესიათ. სათესის გამართვა ვერ მოახერხეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. აიდაზოვს არც ის ადარდებს, რომ ნათესების დამუშავება ნელი ტემპით მიმდინარეობს.

სასაყვედურო აქვთ კონდოლერებსაც. ბევრ ნაკვეთზე სიმინდი მწკრივად არის დათესილი. აქ კულტივაციის შემდეგ თოხნა აუცილებელია, მაგრამ რატომღაც არ ჩქარობენ.

სიმინდი კულტივატორსა და თოხს მოჰყავს. ერთიც და მეორეც უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ შვიდწლედის პირველ წელს სიმინდის მოსავალი გავამრავლოთ.

ს. ჟოჟლაძე.
„ქომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გ. სიხაშვილის

სატრაქტორო ბრიგადაში

მაისის წვიმებმა დაჩქარეს სიმინდის აღმოცენება. ერთ კვირაზე მეტი აქ ნება, რაც მექანიზატორ გიორგი სიხაშვილის სატრაქტორო ბრიგადის ა. გიტალოვის მეთოდით მომუშავე ბრიგადის კოლექტივმა სოფლისპირა ნაკვეთში დაამთავრა თესვა და ახლა იქ უკვე კარგად ჩანს მწვანე კვადრატები. სატრაქტორო ბრიგადის კოლექტივმა ბრონტეწნიკურ ვადებში დათესა კვადრატულ-ბუდობრივად 100 ჰექტარი სიმინდი და 10 ჰექტარი შაქრის ჭარხალი. ისინი მთელ ამ ფართობზე სიმინდსა და ჭარხალს კომპლექსურად მექანიზაციით მოიყვანენ. ტრაქტორისტები ჭ. ირემაძე და ს. ეკალაძე ყოველდღიურად უფრო და უფრო ღრმად ეუფლებიან ცნობილი მექანიზატორის ალექსანდრე გიტალოვის მუშაობის მეთოდს. უკვე დაიწყეს შაქრის ჭარხლის კულტივაცია.

ჭარელის ტბალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორ გიორგი სიხაშვილის ამ შესანიშნავი თოხნობით სახოფლო-სამეურნეო არტელში უკვე ცმაყოფილა. სჯერათ, რომ ნაკისრ ვალდებულებას მისი სატრაქტორო ბრიგადის კოლექტივი სასახელოდ შეასრულებს.

კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტები მინდვრის სხვა სამუშაოებსაც კარგად ასრულებენ. ბალღების წამლობაზე ენერგიულად მუშაობს ტრაქტორისტი ვ. ვახტანგიშვილი.

მ. ხეთაგური,
„ქომუნისტის“ საკ. კორ.

მწვანე კვადრატებში გუგუნებენ ტრაქტორები

ალაზნამდე აღწევს კურდღელაურის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის კუთვნილი ბაღვენახები, ველ-მინდვრები. აქ ნათესების სიმრავლეა. მარტო სიმინდი 215 ჰექტარზე უთესიათ. აქედან ნახევარზე მეტი კვადრატულ-ბუდობრივად არის დათესილი.

მწვანე კვადრატებში განუწყვეტლივ გუგუნებენ ტრაქტორები. მექანიზატორები ორმხრივ კულტივაციას ატარებენ. ა. ნებერიძე და გ. მესტვირიშვილი ორმაგად ასრულებენ ცელის ნორმებს.

იმის გამო, რომ ნიადაგის რელიეფი ხელს არ უწყობდათ, ნახევარ ფართობზე სიმინდი მწკრივად დათესეს. აქ ორმხრივი კულტივაცია არ ხერხდება, კოლმეურნეთა სიბეჯითეა საჭირო. თუ თოხნა დაგვიანდა, სარეველები სიმინდს დაჩაგრავს. ეს კი მოსავალს შეამცირებს. ამიტომ არის, რომ კურდღელაურელები გარიჟრაჟიდან დაღამებამდე მინდვრად არიან, თოხნას ჩქაროზენ. გათოხნილია პირველი 65 ჰექტარი. შეჯიბრებაში, რომელიც ბრიგადებს შორის გაჩაღდა, ლ. გრიშიკაშვილის ბრიგადა დაწინაურდა.

მინდორში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ცხადაძე შემოგვხვდა. სიმინდის ნათესების დამუშავება შეემოწმებინა და ვეწახებისაკენ მიიჩქაროდა.

— შარშან, — მითხრა მან, — ამ ფართობზე ჰექტარზე 18 ცენტნერი მოვიმკეთ. ამ წელს 30 ცენტნერზე ნაკლებს არ ავიღებთ.

ბინების უსისტემოდ გაშენებაში ველისციხეს არ ჩამორჩებიან ქახეთში ისეთი ცნობილი სოფლები, როგორიც არის შილდა, ენისელი, მუსაველი. ჩარაჭების განაშენიანება მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი გეგმებით და პროექტებით. დროა არა მარტო ქალაქები, სოფლებიც წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით შენდებოდეს და მშვენიერდებოდეს. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და გასათვალისწინებელი.

ხშირია შემთხვევა, როცა სკოლას შარაგზის პირას აშენებენ და საკლასო ოთახებს ფანჯრები გზისაკენ აქვს. ისეთ საკლასო ოთახებში, საიდანაც ბავშვი მანქანებსა და ხალხის დაუსრულებელ მოძრაობას უცქერის. ძნელია გაკვეთილის ჩატარება. მაგალითად, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის საშუალო სკოლის ზოგიერთ საკლასო ოთახს არა მარტო ფანჯრები აქვს გზისაკენ, შესასვლელი კარიც ქუჩიდან აქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ველისციხეში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ექვს და რვაოთახიანი ბინების მშენებლობა. მაგრამ რაც უფრო ხშირად შენდება ახალი ბინები, მით უფრო მახინჯდება ველისციხის ქუჩები. ცენტრალური ქუჩა ისეა დაგეწროებული, რომ მანქანებს უჭირთ ერთმანეთისათვის გვერდის ავლა. მაგრამ ეს მაინც ქუჩაა. ახლა იკითხეთ დანარჩენ მოსახლეთა მისასვლელები, ვიწრო ქუჩები და ორღობეები, ერთმანეთში აბლაბუდასავით რომ არის გაბმული...

ბინების უსისტემოდ გაშენებაში ველისციხეს არ ჩამორჩებიან ქახეთში ისეთი ცნობილი სოფლები, როგორიც არის შილდა, ენისელი, მუსაველი. ჩარაჭების განაშენიანება მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი გეგმა-პროექტის გამოუყენებლად ხდება. აქ „ინჟინრობენ“ თვით მშენებელი ჯალატოზები. დროა და აუცილებელიც არის ყველა სოფელსა და დაბას ჰქონდეს განაშენიანების გეგმა-პროექტი, რომელსაც უნდა დაუქვემდებარდეს როგორც კერძო, ისე დაწესებულებათა შენობების ადგილი.

უნდა ვეცადოთ ვაშენოთ და გავაშენოთ ყოველივე ისე კარგად და ისეთ ადგილას, რომ შთამომავლობას დასანანრევი არ გაუხდეს.

ვიზრუნოთ ჩვენი სოფლების კეთილმოწყობისათვის.

ი. ბეროშვილი,
ყვარლის რაიონი.

წერილები რედაქციას

როგორ დავაგვლოცოს თამამობა

ჩვენი რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში ელექტრობის, რადიოს და ტელეფონის ქსელის საყრდენებად იყენებენ ხეებს, ფიჭვისა და სოჭის ხის ბოძებს. თუ გაუქრელობა, ასეთი ბოძები ნიადაგში ძლებს მხოლოდ 4-5 წელიწადს. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კარგად ხარობს აკაცია, რომლის გამძლეობა მიწაში 25-30 წელიწადია.

აკაცია მაღე მზარდი მცენარეა, სწორი ტანი აქვს. საბოძე მასალად მოჭრის შემდეგ მისი ნარჩენები — ტოტები და ბოლო გადახაჭერი შეიძლება გამოყენებულ იქნას სარებად. აკაციის ხის საბოძე მასალად გაზრდით და გაშენებით საქართველოს ტყეებს — ნაძვნარს, ფიჭვნარსა და სოჭნარს დავიცავთ მასობრივი გაჩეხისაგან.

ჩ. ჭალაძე,
საქართველოს რადიოსატრანსლაციო ქსელის დირექციის უბნის ტექნიკოსი.

ჯულუკიძე

ჯულუკიძე. პარტიის წულუკიძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ამხანაგ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირული აქტივისათვის მოაწყო კითხვა-პასუხის საღამო.

საღამოსათვის მზადების პერიოდში ბევრი საინტერესო შეკითხვა შემოვიდა. შეკითხვები შეეხებოდა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, კომუნიზმის მშენებლობის საკითხებს, შვიდწლედის ძირითად ამოცანებს, სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, შვიდწლედში რაიონის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წინაშე მდგომ ამოცანებს, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების და სხვა საკითხებს.

საღამოზე გამოვიდნენ და შემოსულ შეკითხვებზე პასუხი გასცეს რაიკომის შტატგარეშე ლექტორებმა: ნ. პასკირმა, გ. ცხაკაიამ, ი. ლოჩოშვილმა, რაიონის მთავარი ექიმის მოადგილემ სამკურნალო დარგში ს. მებუკემ და სხვებმა.

კითხვა-პასუხის საღამომ საინტერესოდ ჩაიარა. მორიგი საღამო მზადდება და უახლოეს ხანში გაიმართება.

გ. გეგეშიძე.

სსრ კავშირის მწერალთა III ყრილობა

19 მაისის დილის სხდომაზე ლიტერატურის ისტორიულ ჟანრს დაუთმო ყურადღება თავის გამოსვლაში ლტვიელმა მწერალმა ვ. ლუწსმა.

ბევრი ორატორის გამოსვლებში გარკვეულად ეღერს ჩვენი დღეების გმირი ადამიანის, ლიტერატურის გმირის თემა. ეს თემა დააყენა თავისი გამოსვლის ცენტრში მწერალმა ს. სარტაკოვმაც (რუსეთის სფსრ). ორატორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მწერლებმა თავის მესამე ყრილობას მოუტანეს დიდი შრომის მშვენიერი ნაყოფი. საბჭოთა ლიტერატორებს მოეპოვებათ საამაყო რამ. მაგრამ, სად არის, ამბობს იგი, ის ლიტერატურული გმირი, შემოქმედი, უკანასკნელი დროის განსაცდურებელ საქმეთა მონაწილე, გმირი, რომელიც ცალ ხელს რომ პატაკორჩაგინს გაუწვდის, მეორე გაუწოდოს თოფულ მილიონობით ჩვენს ახალგაზრდას და წაუძღვეს მათ ჩვენი მჩქეფარე ცხოვრების დღეებში.

ისევე როგორც მთელი რიგი სხვა ორატორები, ამბ. სარტაკოვი წინადადებით მიმართავს სსრ კავშირის მწერალთა კავშირს გაადიდოს მომთხოვნელობა კავშირის წევრად მიღების დროს.

ტრიბუნაზეა ერთ-ერთი უხუცესი საბჭოთა მწერალი ქ. ჩუკოვსკი. იგი ცოცხალი მაგალითებით გვიჩვენებს ბურჟუაზიული ლიტერატურის დეგრადაციას, ლიტერატურისა, რომლის საზრუნავი ის არის, რომ „როგორმე უფრო საოცრად, უფრო მოხერხებულად, მარჯვედ წაართვას ადამიანს სიცოცხლე“. ქ. ჩუკოვსკი შეშფოთებით ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დიდი „ავიაზაკ მწერალთა არმია“. გამოდის ეჟენ ანდერსენები, ალბერ კამიუ, ჯეიმს ჯოისები, ალდოს ჰაქსლი, ტენესი უილიამსები, ჯონ დოს პასოსები, ჯეკ კერუაკები, ნორმან მეილერები, ჯეიმს ბოლდუინები, ჯონ ოჰარები, ჯეიმს ფარელები, ჯონ სტაინბეკები, ერნესტ ჰემინგუეი, ჯონ სტე

დასავლეთის გეგმა ჟენევაში „ცივი ომის“ გაგრძელებაა

ლაოსის სამეფო მთავრობამ დაარღვია ჟენევის შეთანხმებანი

იტონი აკრიტიკებს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის მკაცრი შეზღუდვის ამერიკულ პოლიტიკას

სამ თვეში 193 გაფიცვა არგენტინაში

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 19 მაისი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღევანდელ სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. ჰერტერის თავმჯდომარეობით, საგარეო საქმეთა მინისტრები განაგრძობდნენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა წინადადების განხილვას, აგრეთვე ეგრეთწოდებული „კომპლექსური გეგმის“ განხილვას, რომელიც შეიტანეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა.

საფრანგეთის დელეგაციის პოზიცია ჩამოაყალიბა კუვ დე მიურვილმა.

მან თავისი გამოსვლა იმით დაიწყო, რომ გაიმეორა წინანდელი დაუსაბუთებელი მტკიცებანი თითქოს სსრ კავშირს, რომელმაც შეიტანა თავისი წინადადებანი საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ და ბერლინის საკითხზე, „სერიოზული კრიზისი“ შეექმნას ევროპაში.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იკისრა ამოცანა, რომლის შესრულება შეუძლებელი, სახელდობრ იმის დამტკიცება, რომ თითქოს დასავლეთის სახელმწიფოები, თავიანთი „კომპლექსური გეგმა“ რომ წარმოადგინეს, ხელს მძღვანელობდნენ სურვილით ანგარიში გაეწიათ საბჭოთა კავშირის პოზიციისათვის და თითქმის იმისათვის ზრუნავდნენ, რომ უზრუნველეყოთ საბჭოთა კავშირის უშიშროება.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგ გამოვიდა ჯ. გრეგუარ, რომელიც მეთაურობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციას ნატოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ფონ ბრენტანოსთან, რომელიც დემონსტრაციულად არ შორდება თავის სასტუმროს ჟენევაში და საქვეყნოდ გამოაქვს, რომ ბონის მთავრობას არ სურს ხელი შეუწყოს გერმანიის პრობლემის მოწესრიგებას შვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე. ჯ. გრეგუმ, რომელსაც თავი არ შეუწუხებია დამატკიცებელი საბუთების ძებნით, გაიმეორა ბონის პრომაგანდის ძველი, ბევრჯერ გაბათილებული თეზისი იმის შესახებ, რომ თითქოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი იმას ნიშნავს, როგორც მან თქვა, რომ „ფაქტიური უარი განაცხადონ გერმანიის როგორც ერთიანი სახელმწიფოს აღდგენაზე“.

ამასთან გრეგე განზრახ არიდებდა თავს იმ საერთოდ ცნობილ და უდავო გარემოებას, რომ ახლანდელ პირობებში ერთიანი გერმანია შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის შეთანხმების შედეგად და რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, რასაც საბჭოთა კავშირი მოითხოვს, ხელს შეუწყობდა ამ ამოცანის გადაწყვეტას.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სელვინ ლოიდმა, რომელმაც ჯ. გრეგუს შემდეგ აიღო სიტყვა, თავისი გამოსვლა მიუძღვნა იმის ცდას, რომ დაემტკიცებინა, თითქოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტს არ მოაყვებოდეს სამართლიანი და მტკიცე მოწესრიგება. ამის „დასამტკიცებლად“ მან გაიმეორა დასავლეთის სახელმწიფოთა ორი უკვე ცნობილი დაუსაბუთებელი მოსაზრება. პირველი მათგანი ის არის, რომ თითქოს არ შეიძლებოდეს ხელშეკრულების დადება ორ გერმანულ სახელმწიფოსთან, და მეორე, რომ თავისი ხასიათით ასეთი ხელშეკრულება „თავსმხვეული“ იქნებოდა.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ა. ა. გრომიკო.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ გუშინ მან გამოთქვა საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება დასავლეთის სამი სახელმწიფოს „კომპლექსური გეგმისადმი“ და გააკეთა რამდენიმე დამატებითი შენიშვნა. მან გააბათილა მტკიცებანი, მათ შორის კუვ დე მიურვილის მტკიცებაც, რომ „კომპლექსური გეგმა“ დათმობაა, თითქმის კომპრომისია, რომელიც მხედველობაში იღებს საბჭოთა კავშირის თვალსაზრისს. როგორც ჩანს, თქვა მან, ამგვარი განცხადებანი მოწოდებულია არიან უფრო მეტზიდველი სახე მისცენ „პაკეტს“, რომელიც თითქოს დიდი ხნით შესანახავად ჩადეს და ბევრჯერ გადანასკვეს სულ სხვადასხვა საკითხი. ცალკეული საღი დებულებანი და აზრები, რომლებსაც გეგმა შეიცავს, ქრება უთანხმო ამკარად მიუღებელ პირობებში, რომლებიც განსაზღვრავენ „კომპლექსური გეგმის“ სახეს.

ა. ა. გრომიკო შეეხო ჯ. ჰერტერის გუშინდელ გამოსვლას, რომელმაც გაიღაშქრა საბჭოთა მთავრობის წინადადების წინააღმდეგ, რომ დაუყოვნებლივ დაიდოს საზავო ხელშეკრულება ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან და რომელიც თავის მოსაზრებებს საფუძვლად უდებდა იმას, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას თითქოს არც ცალცალკე და არც ერთად არ შეუძლიათ იყონ გერმანიის წარმომადგენელი და თქვა:

ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით იმას, რომ გერმანიის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს არსებობა იმის საფუძველი იყოს, რომ გერმანელ ხალხს უარი უთხრან საზავო ხელშეკრულებაზე. რა გამოსავალია შესაძლებელი შექმნილი მდგომარეობიდან? ეს გამოსავალი ნაჩვენებია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტში. ეს პროექტი ითვალისწინებს იმ ობიექტურ ფაქტს, რომ ამჟამად გერმანიის წარმომადგენელი არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. სწორედ მათთან უნდა დაიდოს საზავო ხელშეკრულება.

ასეთი გადაწყვეტილება, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, გამართლებულია როგორც ისტორიით, ისე საერთაშორისო სამართლით. წარსულში ხშირად მომხდარა, რომ ომს მოუსპია ომის დამწყები სახელმწიფო. ამ შემთხვევებში ხავს დებდნენ ის სახელმწიფოები, რომელნიც წარმოშობდნენ ძველს ნაცვლად მის ტერიტორიაზე. ავსტრია-უნგრეთის მაგალითი, რომელსაც ომიწყებს ბ-ნი ჰერტერი ნამდვილად არის ერთ-ერთი მაგალითი, როცა ომის შედეგად ერთი სახელმწიფოს ადგილს წარმოიშვა რამდენიმე ახალი სახელმწიფო და მათთან დაიდო საზავო ხელშეკრულებანი საერთაშორისო სამართლის საერთოდ ცნობილი ნორმების სრული შესაბამისობით. ა. ა. გრომიკომ შეძლებისდაგვარად ცხადყო, რომ უსაფუძვლოა ჯ. ჰერტერის მტკიცებანი, თითქოს ორი გერმანული სახელმწიფო საერთოდ არ არსებობდეს, არამედ იყოს რაღაც „საერთაშორისო ერთეული, რომელიც ცნობილია როგორც გერმანია“.

უარყო ის, რომ ამჟამად არსებულ ორ გერმანულ სახელმწიფოს უფლება აქვს ამოქმედონ გერმანიის სახელით, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. გრომიკომ, არსებითად უდრის ცდას მხედველობაში არ მიიღო მთელი პოლიტიკური განვითარება, რაც გერმანიაში მიმდინარეობდა უკანასკნელი ერთნახევარი ათეული წლის განმავლობაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, აცხადებს, რომ მას არ შეუძლია დადოს ორ გერმანულ სახელმწიფოსთან — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, რომ ეს ორი გერმანული სახელმწიფო **ნამდვილად არსებობს**, ხოლო ერთიანი გერმანია ჯერ კიდევ არ არის.

როდესაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაახლოების შედეგად ბოლოსა და ბოლოს გადაწყდება გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენის პრობლემა, ამას მისწყმება გერმანელი ხალხის ყველა მეგობარი, ევროპაში მტკიცე მშვიდობის ყველა მომხრე.

როგორც ცნობილია, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წარმოადგინა ამ თათბირის განსახილველად, შეიცავს სპეციალურ მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებენ ხელშეკრულების მოქმედებას გერმანიის გაერთიანების შემდეგაც. პროექტის ტექსტში გათვალისწინებულია ასეთი შესაძლებლობაც, რომ მისი ხელმოწერის მომენტისათვის გერმანიის ერთიანობის აღდგენის საქმე უკვე წინ წაიწევს და ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს გერმანიის კონფედერაციის მონაწილეობით. სადღაა აქ „გერმანიის მუდმივი გათიშვის ცნობა?“ არა ეს არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან არ შეესაბამება ჩვენს პოლიტიკას.

უპასუხა რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლის გრეგუს განცხადებას იმის შესახებ, რომ წინა წლებში საბჭოთა მთავრობა თვითონ იცავდა იმ თვალსაზრისს, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება გულისხმობს სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნას, სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა თქვა: დიახ, იყო დრო, როცა საბჭოთა კავშირი მოითხოვდა, რომ საზავო ხელშეკრულება დადებული ყოფილიყო სრულიად გერმანიის მთავრობასთან. ბევრს ალბათ ახსოვს, რომ ჯერ კიდევ 1952 წელს საბჭოთა მთავრობამ წარმოადგინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მისი დადების სწორედ ასეთ წესს. და თუ საზავო ხელშეკრულების აღნიშნული პროექტი ვერ გახდა მაშინ განხილვის საგანი შესაბამის მოლაპარაკებაზე და საზავო ხელშეკრულება დადებული არ ყოფილა, ამისი ბრალი ედება, რა თქმა უნდა, არა საბჭოთა კავშირს, არამედ იმას, ვინც ერთ დროს უარი თქვა ამ წინადადებაზე, და არა უკანასკნელ რიგში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას.

დღეს მდგომარეობა სხვანაირია, ვიდრე 1952 წელს იყო. სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის ის წანამძღვრები, რომლებიც წინათ იყო, ამჟამად არ არსებობენ, ისინი ხელიდან გაუშვეს, რატომ მოხდა ასე? ეს მოხდა უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკის შედეგად, რაშაც უფრო გააღრმავა ორომო, რომელიც ორ გერმანულ სახელმწიფოს ჭიყინს.

ბ-ნმა ჰერტერმა გუშინ საბჭოთა პროექტი შეადარა ვერსალის ხელშეკრულებას. მან ნათლულად ისიც კი თქვა, რომ გერმანელი ხალხი არ შეურიგდება შეხლეჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია საბავო ხელშეკრულების პროექტში. განა საჭიროა იმის თქმა, რომ ასეთი ხართაული შეიძლება განმარტებულ იქნას როგორც თანამგრძნობით დამოკიდებულება დასავლეთ გერმანიის რევანშისტთა მოთხოვნებისადმი; ისეთი ადამიანები, როგორიც არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი შტრაუსი და მისი თანამოაზრენი, არ დააყოვნებენ ასეთი განცხადებანი თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ.

გაიხსენა რა, რომ საბავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი ითვალისწინებს იმას, რომ გერმანიას უნდა ექნეს ყველაფერი, რაც საჭიროა მისი თავდაცვისათვის, მაგრამ ისე, რომ არ მიიღოს თავდასხმის საშუალებანი, ჯრომლებიც შეასრულებინას მისცემენ მას კვლავ დაიმუქროს მეზობელ სახელმწიფოებს, ა. ა. გრომიკომ თქვა:

დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს რომ ყური დაუგდოთ, გამოდის, რომ როცა საბჭოთა კავშირი მოითხოვს ატომური შეიარაღების აკრძალვას გერმანიისათვის, ეს კიხაღმ გერასლის განმეორებაა. ხოლო როცა დასავლეთის სახელმწიფოებს ფარულად შეაქვთ ატომური და რაკეტული იარაღი დასავლეთ გერმანიის ბუდესვერისათვის, ეს აიის საძართლიანობის იდეალი, მშვიდობის ინტერესებისათვის სამსახურის მაგალითი.

უპასუხა რა დასავლეთ გერმანიის დელეგაციის წარმომადგენლის მტკიცებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეგრეთწოდებული საომარი მზადების შესახებ, ა. ა. გრომიკომ თქვა, რომ ეს მტკიცება სრულიად უსაფუძვლო და არასწორია არსებითად. თუ როგორია სინამდვილეში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საქმე, ჩვენ მოვისმინეთ ზუსტი, კონკრეტული მონაცემები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის დოქტორ ბოლცის გუშინდელ გამოსვლაში.

ერთი წუთით რომ ვიფიქროთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ნამდვილად განიცდის რაღაც შეშფოთებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებასთან დაკავშირებით, საკითხავია, რატომ ილაშქრებს იგი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ, როდესაც შეიცავს დებულებებს, მიმართულ რომელიმე გერმანული სახელმწიფოს მილიტარისტული გზით განვითარების წინააღმდეგ, იქნება იგი დასავლეთი თუ აღმოსავლეთი გერმანია?

ბოლოს, ასეთ შემთხვევაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ოტომ არ უპასუხებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არა ერთგზის წინადადებებს — შეთანხმდნენ ორივე გერმანული სახელმწიფოს შეიარაღების ძალების რაცხვის, დისლოკაციისა და ურთიერთკონტროლის შესახებ?

დასასრულ ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მხარეთა პოზიციების დაახლოების შესაძლებლობა, მათ შორის ხელშეკრულების სამხედრო მუხლებშიც, უკვე ამოწურულია. კონკრეტული საკითხებისა და წარმოდგენილი საბავო ხელშეკრულების პროექტის კონკრეტული მუხლების განხილვის გზით, თქვა მან, შეიძლება გამოირკვეს თათბირის ყველა მონაწილის პოზიციები და თვალსაზრისების დამთხვევის შესაძლებლობა ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებში, რომლებიც შეადგენენ საბავო ხელშეკრულების ძირითად შინაარსს, ისე დანარჩენ საკითხებშიც, რომლებიც უნდა გადაწყდეს გერმანიასთან მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

ა. ა. გრომიკოს გამოსვლის შემდეგ სხდომა დაიხურა.

ცეილონში ბროშურად გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

კოლომბო, 19 მაისი. (საკდესი). აქ სინგალურ ენაზე ბროშურად გამოიცა სრული ტექსტი ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“.

ამერიკელი მეცნიერი ბიოქიმიკოსები საქართველოში

საქართველოში იყო ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო მეცნიერ ბიოქიმიკოსთა ჯგუფი პროფესორ ჰერბერტ კარტერის მეთაურობით. იგი მოგზაურობს საბჭოთა კავშირში და ეცნობა ჩვენი ქვეყნის ბიოქიმიკოსთა საქმიანობას.

ამერიკელ მეცნიერებს აინტერესებდათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკისა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტთა ბიოქიმიური ლაბორატორიების მუშაობა. მათ საუბარი ჰქონდათ ქართველ მეცნიერებთან, მაღალი შეფასება მისცეს მათ კვლევას ბიოქიმიის დარგში, კერძოდ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის პ. ა. ჭომეთიანის შრომებს.

ამერიკელი სტუმრები იყვნენ მცხეთაში, სადაც დათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები. მცხეთაში მათ დათვალიერეს აგრეთვე ცნობილი მეფეთა ნეკროპოლი. საზღვარგარეთელი მეცნიერები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ სოხუმში.

(საქდესი).

ჩინეთი აფრთხილებს

პეკინი, 19 მაისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად ლაოსში შეიქმნა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 1959 წლის 18 მაისს შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა:

1959 წლის 16 მაისს ლაოსის სამეფო მთავრობამ განაცხადა, რომ მან 11 მაისს პატეტ-ლაოს ყოფილი საბრძოლო ნაწილების ორ ბატალიონს უბრძანა 24 საათის განმავლობაში ჩაებარებინათ იარაღი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ პასუხისგებაში მისცემენ როგორც მეამბოხეებს, ამავე დროს პატეტ-ლაოს ყოფილი საბრძოლო ნაწილების ხელმძღვანელები, მათ შორის პრინცი სუფანუ-ვონგიც სამეფო მთავრობას ჯარებისა და პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ შინაპატიმრობაში იყვნენ. ეს იმის კიდევ უფრო სერიოზული აქტია, რომ ლაოსის სამეფო მთავრობამ დაარღვია ჟენევის შეთანხმებანი, აქტი, რომელიც მოჰყვა მის ამა წლის 11 თებერვლის განცხადებას ლაოსის თაობაზე ჟენევის შეთანხმებათა შესრულებაზე ცალმხრივი უარის შესახებ. ეს არის აგრეთვე ნაწილი ამერიკელი იმპერიალისტების შეთქმულებითი საერთო გეგმისა, რომლის მიზანია ჩაქრნას ლაოსის სამეფო მთავრობის მოქმედება, რომელიც ძირს უთხრის ჟენევის შეთანხმებებს და რომლის მიზანია პატეტ-ლაოს ყოფილი საბრძოლო ნაწილების დევნა და სამოქალაქო ომის პროვოკაციის მოწყობა ლაოსში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა აქედან გამომდინარე მთელი სერიოზული შედეგებისათვის.

ინდოეთის მშვიდობა-საც. ამიტომ ყველა ქვეყანამ და ხალხმა, რომელნიც დაინტერესებული არიან სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მშვიდობით და ბრძოლა მისი დაცვისათვის, გადაჭრით უნდა გააშკარონ იმის წინააღმდეგ, რომ ლაოსის სამეფო მთავრობამ დაარღვია ჟენევის შეთანხმებანი და აჩაღებს სამოქალაქო ომს ლაოსში და გადაჭრით აღკეთოს ეს მოქმედება, რომელსაც ლაოსის სამეფო მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების წაქეზებით ახორციელებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო სერიოზულად აცხადებს, რომ ჩინეთი, როგორც იდონჩინეთის შესახებ ჟენევის თათბირის მონაწილე, როგორც სახელმწიფო, რომელიც იძლევა ჟენევის შეთანხმებათა შესრულების გარანტიას, და როგორც ლაოსის სამეფოს ახლო მეზობელი, ბუნებრივია, ვერ დარჩება გულგრილი ლაოსის სამეფო მთავრობის სერიოზულ აქტებთან დაკავშირებით, რომლთა მიზანია ჟენევის შეთანხმებათა სრული დარღვევა და რომელნიც საფრთხეს უქმნიან ინდოჩინეთის მშვიდობას. ჩინეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მთელი სერიოზულობით აღნიშნოს, რომ ჟენევის შეთანხმებანი დაცულ უნდა იქნენ და რომ დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ლაოსის სამეფო მთავრობის მოქმედება, რომელიც ძირს უთხრის ჟენევის შეთანხმებებს და რომლის მიზანია პატეტ-ლაოს ყოფილი საბრძოლო ნაწილების დევნა და სამოქალაქო ომის პროვოკაციის მოწყობა ლაოსში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა აქედან გამომდინარე მთელი სერიოზული შედეგებისათვის.

შეადგინეს ჰოლანდიის მთავრობა

ჰააგა, 19 მაისი. (საკდესი). დღეს ჰოლანდიაში შეადგინეს ახალი მთავრობა. ამით ბოლო მოეღო მთავრობის კრიზისს, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე წლის 12 მარტს მემარჯვენე პარტიების მიერ თავსმოხვეული პარლამენტის ვადმდე არჩევნების შედეგად.

ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრი და საერთო საკითხთა მინისტრია დე კუაი.

ფაშისტთა ახალი გამოსვლა საფრანგეთში

პარიზი, 19 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, 16 მაისს ქალაქ ბლუაში (ლუარისის და მერის დეპარტამენტი) ფაშისტური ელემენტები თავს დაესხნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სადეპარტამენტო ფედერაციის შენობას.

საბჭოთა ექსპედიცია ავღანეთში კალიის წინააღმდეგ საბრძოლველად

ქაბული, 19 მაისი. (საკდესი). წელს ავღანეთში გაჩნდა მაროკოული კალია. ამასთან დაკავშირებით ავღანეთის მთავრობის თხოვნით ავღანეთს გაუგზავნა საბჭოთა კავშირის კალიის საწინააღმდეგო ექსპედიცია, რომელიც ავღანელ სპეციალისტებთან ერთად ბრძოლას ეწევა კალიის წინააღმდეგ.

ამჟამად საბჭოთა ექსპედიციამ მოსპო სოფლის მეურნეობისათვის ამ საშიში მავნებლის ძირითადი კერები ავღანეთის ჩრდილოეთ რაიონებში.

ამავე დროს კალიის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოთა ექსპედიცია დახმარებას უწევს ავღანეთის ორგანიზაციებს ავღანეთის სხვა რაიონების გამოკვლევაში, რათა გამოვლინებულ იქნეს კალიით დაავადების შესაძლებელი ახალი ადგილები.

კალიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა და ავღანელი სპეციალისტების ერთობლივი თანამშრომლობა ქმნის რწმენას, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად თვითდან იქნება აცილებული კალიის გავრცელების საფრთხე ავღანეთში.

საბაგიშვო მოძრაობა არგენტინაში

ბუენოს-აირესი, 20 მაისი. (საკდესი), გუშინ გამოცხადდა არგენტინის ფეხსაცმლის მრეწველობის მუშების 24 საათის გაფიცვა. გაფიცვა მოიცავს ამ დარგის ყველა საწარმოს. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებას და მთელი რიგი სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

მეორე თვეა გრძელდება არგენტინის ბანკების მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა.

საბაგიცვო მოძრაობას არგენტინაში წელს უდიდესი გაქანება მიეცა, მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვები გამოცხადებულია უკანონოდ და გაფიცვის მონაწილეებს სამუშაოდან ითხოვენ. მშრომელთა ბრძოლის გაძლიერება გამოწვეულია სიძვირის მუდმივი ზრდით. ფედერალური პოლიციის სამმართველოს ოფიციალური მონაცემებით, მარტო მიმდინარე წლის აპრილში არგენტინაში რეგისტრირებული იყო 75 გაფიცვა. ამ გაფიცვებში მონაწილეობა მიიღო ასი ათასობით კაცმა. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში (თებერვალი-აპრილი) გამოცხადდა 193 გაფიცვა.

გასწორება

„კომუნისტის“ 20 მაისის ნომერში დაბეჭდილ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების — საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, გადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ — მეთორმეტე მუხლი უნდა იკითხებოდეს ასე: „საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით უდაო წესით გადახდებათ მათ მიერ შეუსრულებელ სამუშაოთა საზარჯთაღრიცხვო ღირებულების 50 პროცენტი, ხოლო მათ ხელმძღვანელებს დაეკისრებათ ჯარიმა 300-დან 500 მანეთამდე“.

ბელგიელი ფეხბურთელები თბილისში

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება ბელგიის ქ. გენტის კლუბის „ვანტუაზის“ ფეხბურთელთა გუნდი. პირველი მატჩი სტუმრებმა გამართეს 19 მაისს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებთან დაკომპლექტებულ გუნდთან. საერთაშორისო შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების ანგარიშით 4:0.

გუშინ ბელგიელი ფეხბურთელები თბილისს ეწვივნენ. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

• • •

„განტუაზის“ კლუბის ფეხბურთელთა გუნდს 6 ათეული წლის ისტორია აქვს „ა“ კლასში გუნდი გამოდის 1935/36 წლის სეზონიდან და დღემდე ჩემპიონატში ერთხელ მეორე და ორჯერ მესამე საპრიზო ადგილები აქვს მოპოვებული.

გასულ სპორტულ სეზონში ამ კლუბის ფეხბურთელთა მაჩვენებლები დაბალი იყო. კლუბის ხელმძღვანელობა ძალებული გახდა ჩამოეყალიბებინა ბელგიაში ფეხბურთის პირველი სპეციალური სკოლა, რომელიც 100-მდე მოსწავლეს აერთიანებს.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე ბელგიელმა ფეხბურთელებმა საერთაშორისო შეხვედრა გამართეს დასავლეთ გერმანიის გუნდთან „კაიზერ-სლაუტერნთან“ და მძაფრ ბრძოლაში დამარცხება განიცადეს 1:2. „განტუაზის“ გუნდის რამდენიმე მოთამაშე გამოდის ბელგიის ნაკრებში. ესენი არიან: მარჯვენა მცველი დე კოსტერი, ნახევარმცველები — შტორმი, დელმოლი, თავდამსხმელები — ორლანსი, ვილემსი და სხვ.

წყალბურთელთა ასპარეზობა

მერეე ტურში, რომელიც 19 მაისს შედგა, ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ წყალბურთელთა კოლექტივების მატჩი, რომელსაც თავიდანვე ხელთ იგდებს ინიციატივა, მოწინააღმდეგის კარში 4 გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

სპორტი და ხელოვნება ამგვეგი



ჩვენი დედაქალაქის მშრომელთა დასვენების საყვარელი ადგილი გახდა „თბილისის ზღვა“. აქ მუდამ მხიარულებაა. თეთრი გედივით დასრიალებს მოლივლივე „ზღვაზე“ თბომზეკი „თბილისის 1500 წელი“. თოლიებივით მოჩანან პატარა ტალღებზე კოხტა ნავები.

სურათზე: „თბილისის ზღვაზე“.
ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ჩვენი ტელევიზია

21 მაისი

ოპერისა და ბალეტის — დარეჯან ცბიერი (მე-7 აბონემენტის მე-9 წარმოდგენა). **რუსთაველის სახელობის** — არაგველები, **მარჯანიშვილის სახელობის** — ქვის ბუდე, **სომხური დრამის** — ნამუსი, **მოზარდ მაყურებელთა ჭართული** — კოკლი მეწისქვილე (აბონ. № 2, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ჩიპოლინოს თავგადასავალი (1 ს.), **თოჯინების ჭართული** — დარუბნელი ბიჭუკი (11 ს., 2 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — მინიატიურების თეატრი — „ჩვენი სახლი“ (9 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბრის ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **ბავშვთა, 26 კომისრის სახელობის** (I და II დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ქიროვის სახელობის პარკი, ვაკის პარკი** — მაია წყნეთელი, თბილისი — ბიოვიატური კინოფილმების ფესტივალის **კომკავშირელი, საქართველო** (წვრილი დარბაზი), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ამის დავიწყება არ შეიძლება, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი, კოლხიდა** (საზამთრო) —დედინაცვალი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — სიყალბე, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ჩემს ცოლს სიყვარა სურს, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი, დინამო** (საზამთრო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ვანია, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — ბატონ პუჩიკის საქმე, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ადამიანის ბედი.

მეორე —

21 მაისი

ოპერისა და ბალეტის — დარეჯან ცბიერი (მე-7 აბონემენტის მე-9 წარმოდგენა). **რუსთაველის სახელობის** — არაგველები, **მარჯანიშვილის სახელობის** — ქვის ბუდე, **სომხური დრამის** — ნამუსი, **მოზარდ მაყურებელთა ჭართული** — კოკლი მეწისქვილე (აბონ. № 2, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ჩიპოლინოს თავგადასავალი (1 ს.), **თოჯინების ჭართული** — დარუბნელი ბიჭუკი (11 ს., 2 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — მინიატიურების თეატრი — „ჩვენი სახლი“ (9 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბრის ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **ბავშვთა, 26 კომისრის სახელობის** (I და II დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ქიროვის სახელობის პარკი, ვაკის პარკი** — მაია წყნეთელი, თბილისი — ბიოვიატური კინოფილმების ფესტივალის **კომკავშირელი, საქართველო** (წვრილი დარბაზი), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ამის დავიწყება არ შეიძლება, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი, კოლხიდა** (საზამთრო) —დედინაცვალი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — სიყალბე, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ჩემს ცოლს სიყვარა სურს, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი, დინამო** (საზამთრო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ვანია, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — ბატონ პუჩიკის საქმე, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ადამიანის ბედი.

მეორე —

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოგაქირავების რესპუბლიკური კანტორა

დღეიდან, 21 მაისიდან
კინოთეატრების ეკრანებზე
ნახეთ
ახალი მხატვრული ფილმი

მაია წყნეთელი



სცენარის ავტორი — ვ. კანდელაკი, დამდგმელი-რეჟისორი —რ. ჩხეიძე, ო